

ბულალტრული ოპერაციების შესაბამისი რელაციური მოდელების
ანალიზი და ოპტიმიზაცია

გიორგი ლაშაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის,
ტექნოლოგიის სკოლის, პროგრამული ინჟინერის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამული ინჟინერია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ თუთბერიძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი ლაშაური

20.06.2021

აბსტრაქტი

თანამედროვე ბიზნესი წარმოუდგენელია ბუღალტერიის გარეშე, რომელიც, საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდი მოხმარების პირობებში, ინტენსიურად იყენებს კომპიუტერულ პროდუქტებს. ეს პროდუქტები შეიძლება შექმნილი იქნას როგორც კომპანიის საკუთარი რესურსებით, ისე სხვა კომპანიის მიერ რომელიც სპეციალიზდება კომპიუტერული პროდუქტების წარმოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის შიდა რესურსებით წარმოებული პროგრამული უზრუნველყოფა, სავარაუდოდ, უფრო რეალურად ასახავს კომპანიის საჭიროებებს, გარკვეული აზრით მომგებიანია გარე კომპანიის მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რადგან ამ შემთხვევაში ამ პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინებული იქნება უამრავ სხვა კომპანიაში უკვე წარმოქმნილი საჭიროებები, რომლებიც ამ კომპანიას შეიძლება გამოადგეს. წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია ბუღალტრული მონაცემების ოპტიმალურად შენახვის და დამუშავების პრობლემატიკა, რის შედეგადაც შემოთავაზებულია მონაცემთა ბაზის ისეთი სტრუქტურა, რომელიც ბუღალტრულ პროგრამულ უზრუნველყოფას გახდის მოქნილს და უფრო ეფექტურს სხვადასხვა ბიზნეს პროცესებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რელაციური მონაცემთა ბაზები, ბუღალტრული მონაცემთა ბაზები, ბუღალტრული საინფორმაციო სისტემები.

Abstract

Modern business is unimaginable without accounting, which, in the face of increasing consumption of information technology, uses computer products extensively. These products can be created both by the company's own resources and by another company that specializes in the production of computer products. Although the software produced by the company's internal resources is likely to reflect the needs of the company more realistically, it is somewhat advantageous to implement software created by the external company, as this software will take into account the needs of many other companies that may already be useful to this company. This paper investigates the problems of optimal storage and processing of accounting data, resulting in a proposed database structure that will make accounting software more flexible and efficient for various business processes.

Keywords: Relational Databases, Accounting Databases, Accounting Information Systems.